№ 229
სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 229
სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი
უცხო მწერალთა ამბავნი
და
მოთხრობანი
თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.
ფასი სამი შაური.
(4—1).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძა კურთხეულის მედალი „წყალში ჩავარდნილთა გადარჩენისათვის“ ზედ წარწერით, გულზედ ჩამოსაკიდებლად სოხუმის ოლქის ოხემჩირეს მე-2 გილდის ვაჭარს მინჯიას.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი სოვეტნიკობა—კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო გამგეობის სტოლის უფროსს ავალიშვილს; კოლეჟსკი ასესორობა—იმავე გამგეობის მოხელეს დევდორიანს.

გამწესებულ იქმნა: ტფილისის მოქალაქე ლეონტი ჰაბუკიანი—გორის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელედ.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ 24 ოქტომბერს დილის 8 საათზედ ტფილისიდგან კახეთს წაბრძანდა.

⁂ მომავალს სამოსწავლო წელს, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელთან დაარსებული იქმნება ერთკლასიანი სამაგალითო დედათა სამრევლო-საეკლესიო სკოლა.

⁂ 20 ოქტომბერს ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა იმ კომიტეტს, რომელსაც მცხეთის ტაძრის განახლება და შეკეთება აქვს მინდობილი. როგორც ამ სხდომაზედ გამოირკვა, მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად კომიტეტს ჯერ-ჯერობით შეუკრებნია 16,000 მანეთი, აქედგან 2000 მანეთი შეუწირავს დიდ მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს, 3000 მანეთი—კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტს თავ. გ. ს. გოლიცინს; 1,000 მანეთი—მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს; 1,500 მან.—გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს, 1,111 მანეთი გადაუდვია უწმ. სინოდს. დანარჩენი ფული წვრილ-წვრილ შემოწირულებაა. თუმცა ამ ბოლო დროს მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მოწოდების დაბეჭდვის შემდეგ გაზეთებში შემოწირულებამ შესამჩნევად იმატა, მაგრამ მაინც 16,000 მანეთი საკმაო არ არის, რომ მცხეთის ტაძრის შეკეთებას შეუდგნენ. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან ამ ტაძრის განსაახლებლად და შესაკეთებლად საჭიროა 200,000 მანეთი. ამიტომ კომიტეტმა ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ დაადგინა გაუგზავნოს ყველა გენერალ-გუბერნატორს, გუბერნატორს, პოლიცმეისტერს, ოლქების უფროსებს და დივიზიის უფროსებს საქართველოს ექსარხოსის სახელით წერილები და სთხოვოს დახმარება შემოწირულების შეკრების საქმეში. ამავე აზრით კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ყოვლად უსამღვდელოესს ლეონიდს იკისროს რუსეთის უმთავრესს ქალაქებში: პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ხარკოვსა, კაზანში წასვლა, ხოლო შემოწირულების შესაკრებად გაჰგზავნოს რუსეთში დიდუბის ეკლესიის მღვდელი, ღვთის მეტყველების კანდიდატი მამა კ. ცინცაძე და მღვდელი მ. ხახუტაშვილი.

⁂ რადგანაც ამ უკანასკნელ დროს ქალაქის სამკურნალოში ბევრი ავადმყოფი მიდის, ამის გამო ექიმი სტეფანოვი ქალაქის გამგეობას სთხოვს ამ სამკურნალოში მსახურთა რიცხვი მოუმატეთო.

⁂ გუშინ, 26 ოქტომბერს, დანიშნული იყო კრება ქალაქის გამგეობისა და კომისიისა. ამ კრებაზედ ხელი უნდა მოეწერათ უსახელო საზოგადოების და ქალაქ შორის შემუშავებულ ახალს ხელშეკრულებაზედ; მაგრამ ეს კრება არ შესდგა იმის გამო, რომ ცხენის რკინის გზის საზოგადოების დირექტორი ბ ნი რობი ავად გახდა.

⁂ გუშინ, 26 ოქტომბერს, ცხენის რკინის გზის საზოგადოება შეუდგა ქალაქის მიერ ნაყიდ ცხენებისა და სხვა ქონების შესყიდვას.

⁂ 24 ოქტომბერს ქალაქის გამგეობა ხმოსანთაგან შემდგარ კომისიასთან ერთად შეუდგა იმ ხელშეკრულობის შემუშავებას, რომელიც უსახელო საზოგადოებასთან იქმნა დადებული ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოების შესახებ. უმთავრესი პირობანი ხელშეკრულობისა უკვე საბოლოოდ იქმნა შემუშავებული. უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა გადაჭრით განაცხადა, რომ იმას, რასაც დაგპირდით, აღარაფერს მოვუმატებთო. ხელშეკრულობის ვადად დადებულ იქმნა 32 წელიწადი, გამოსყიდვის ნება ქალაქს 15 წლის შემდეგ აქვს. ქალაქის სასარგებლოდ უსახელო საზოგადოება ვალდებულია იხადოს: პირველ წელს 15,000 მანეთზედ არა ნაკლებ, მეორე და მესამე წელს 30,000 მანეთი წელიწადში, შემდეგ ხუთ წელიწადს შემოსავლის $5^{0}/_{0}$, მეორე ხუთ წელიწადს $5\,^{1}/_{2}\,^{0}/_{0}$, ასე რომ კონცესიის ბოლო წელიწადებში გადასახადის რაოდენობამ $9^{0}/_{0}$-მდე უნდა მიაღწიოს. უსახელო საზოგადოება ვალდებულია გაიყვანოს შემდეგი ახალი შტოები: დიდუბისა, ვარდისუბნისა, შუა ბაზრისა, ავლაბრისა და ნავთლუღისა. ამასთან ცხენის რკინის გზათა დირექტორი თანახმაა მიიღოს ქალაქის მიერ ნაყიდი ვაგონები, ცხენები და სხვა.

⁂ 24 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა გადასცა ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას საბრალმდებლო ოქმით საქმე თავ. შიხი ზაქარიას ძის ტუსიშვილისა, 30 წლისა, თავ. ალექსანდრე ბარათაშვილისა, 22 წლისა, გიორგი ივანეს ძე ოსიტაშვილის, 28 წლისა და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვისა, 32 წლისა, რომელთაც აზნაურის დავით გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ.

ფელეტონი

რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას?

რისთვის სცხოვრობს ადამიანი? რა აზრი აქვს იმის ცხოვრებას? რა ბოლო მოელის, რითი გათავდება ქვეყნიერი მისი არსებობა? იმას, რითიც მომეტებული ნაწილი ადამის ძეთა იმედოვნებს, ჰსულდგმულებს, რისკენაც მიისწრაფის, რასაც მოელის, ნუ თუ ამ ქვეყანაზედ გათავდება და ბოლო მოეღება? დიდი ხანია, კაცობრიობა ამის გარდაწყვეტაახსნასა სცდილობს, მაგრამ ჯერაც ვერ მოუხერხებია, ჯერაც არ მიუცია ამისი უტყუარი და ყველასათვის ცხადი და დამარწმუნებელი პასუხი. დღემდის საიდუმლოდ რჩება მისთვის აზრი ცხოვრებისა, წყვდიადით მოცულია მისი ბედ-იღბალი ხორციელის ტაძრის დარღვევის შემდეგ. ბეჯითად, უტყუარად არ იცის: მთლად უგზო-უკვლოდ გაქრობა მოელის, თუ მისი არსებობა უკუნისამდე განეგრძობა საიქიოს. ასეთი გარდაუწყვეტელი, ეჭვიან-უსაბუთო ცხოვრება კაცს ლოდსავით აწვება, მოსვენებას არ აძლევს, სტანჯავს, აწვალებს. მისი გრძნობა-გონება გადაჭრილს პასუხს და რწმენას თხოულობს. ან ჰო, ან არა—აი, ამ ორში ერთი უნდა უსათუოდ აირჩიოს გრძნობა-გონება აბობოქრებულ და ეჭვ-ურწმუნოებით ქენჯნულ-წვალებულ ადამიანმა. მაშინ იგი დაწყნარდება, ცხოვრებას სხვა თვალით შეხედავს, შესაფერს საგანს დაიყენებს წინ და იმისს ასრულებას შეძლებისადაგვარად ემსახურება. აი, ვთქვათ, ადამიანი იმ აზრს დაადგა, რომ ოცნებად და თავის მოტყუებად ჩასთვალა სუყველაფერი ის, რითიც უკვდავობას უმტკიცებდნენ, რითიც აქეზებდნენ კეთილი ექმნა, სათნოებისთვის ემსახურნა, უარ-ეყო ყოველივე ქვეყნიური წარმავალი სიამოვნება, დროს გატარება, ბედნიერების ძებნა, პატივი, დიდება და სხვა-და-სხვა. დარწმუნდა, რომ ის ისეთივე სხეულისა, ისეთისავე ნაწილებისაგან შემდგარ-შეზავებულია, როგორც ყველა სხვა სხეული, მაგალითად, პირუტყვეულობა დ სხვა; დარწმუნდა, რომ იმას იგივე ბოლო მოელის, რაც პირუტყვს, რომლისაგანაც თითქმის არაფრით განირჩევა... როდესაც კაცი ამ დასკვნამდის მივა, ცხოვრების შესახებ თავისებური ორ-შეხედულობა დაებადება. თუ ადამიანი მომაკვდავია, თუ ყველა მისი სურვილი, მისწრაფება აქ, ქვეყანაზედ, სრულდება და საფლავს შემდეგ არაფერი არ არის, მაშ კაცი იმას მაინც უნდა ეცადოს, რომ გაიტკბილოს, სასიამოვნოდ და უშფოთველად გაიხადოს ცხოვრება, რომელიც მას ასე უზომოდ უყვარს და სანატრელად გახდომია; უნდა ეცადოს, რომ აიცილოს სიღარიბე, ტანჯვა-წვალება, შფოთი და უკმაყოფილება, ავადმყოფობა და უძლურება; ერთის სიტყვით, თავის გემოვნებისამებრ მოაწყოს ცხოვრება და იგემოს მისგან ყველაფერი, რაც-კი მოეპოვება.

„უნდა ეცადოს კაცი გაიტკბილოს და სასიამოვნოდ გაიხადოს ცხოვრებაო“!.. ძალიან კარგი, მაგრამ რაში უნდა გამოიხატოს ეს მისი წადილი, რანაირი ხორცი უნდა შეისხას მისმა სურვილმა? ცხოვრებაში რა იდეალს უნდა ესწრაფვოდეს, რომ იგი სასიამოვნოდ გაუხდეს? აი, აქ, ამ კითხვების გადაწყვეტის დროს სხვა და-სხვა გზას ადგებიან სააქაო ცხოვრების მოტრფიალენი და საფლავს შემდეგ ყოველისავეს უარ-მყოფელნი.

ზოგნი მათგანნი იმას მაინც სცდილობენ, რომ შთამომავლობაში უკვდავ-ჰყონ თავისი თავი. ამისთვის ისინი, სხვათა შორის, ოჯახს ჰკიდებენ ხელს და შვილების აღზრდა განათლებისათვის ჰზრუნავენ: „თუ შვილი მეყოლა, ჩემი ხსენება მაინც არ დაიკარგება“-ო, ამბობენ ისინი; ზოგნი კიდევ, უარ ჰყოფენ რა მეოჯახეობას, ერთიანად მეცნიერებასა და იმის ახსნა-კვლევა-ძიებას ანდომებენ სიცოცხლეს. დღე და ღამ სცდილობენ, ჰშრომობენ, რომ რაოდენადმე მაინც ფარდა ახადონ ქვეყნის საიდუმლოებას, გამოსთქვან რამე ახალი, გონიერი აზრი, ან თეორია და მით უკვდავ და დაუვიწყარ ჰყონ თავი მეცნიერებასა და კაცობრიობის მეხსიერებაში. ზოგნი ფულის შეკრებას, სიმდიდრის შეძენას, ფუფუნებით და უდარდელად დროს გატარებას ეძლევიან. ფული, ფული და კვლავ ფული! აი იმათი კერპი და პატარა ღმერთი! ფული, იმათის აზრით, ყოვლად შემძლებელია. იმას შეუძლიან სიცოცხლე დაუტკბოს და სიამოვნებით შეაზავოს. დიდება გინდათ? მშვენიერ არსებათა „ხვევნა კოცნა, ტყლაშა ტყლუში“ გენატრებათ? უდარდელად დროს გატარება, ძმა-ბიჭებთან სმა-ქეიფი შეადგენს თქვენს იდეალს? ან იქნება გსურთ სწავლულთა გუნდში ჩაეწეროთ, რომელისამე უმაღლესის სასწავლებლის მოწმობა მიიღოთ? გსურთ დაუმეგობრდეთ რომელსამე გამოჩენილ ოჯახს? ან იქნება თავმოყვარეობა გაქეზებთ სხვისი ყურადღება მიიქციოთ, კეთილი ჰქმნათ? მაშ ეცადეთ ფულები შეაგროვოთ, „ოქროს მთების“ პატრონი გახდეთ. ფულის შემწეობით ყოველივე შენი სურვილი, ნდობა, მისწრაფება აღსრულდება და განხორციელდება. ასეთია ცხოვრების მრწამსი ამ უკანასკნელ ჯგუფის „ცხოვრების მოტრფიალეთა“!

ზოგნი-კი, დარწმუნებულნი, რომ ქვეყნიერობაზე უფრო მეტი ტანჯვა წვალებაა, ვიდრე სიამოვნება და ბედნიერება, რომ კაცს არ ძალ-უძს

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გადაეცა საქმე აზნაურის დავით აბაზაძისა, 25 წლისა და მღვდლის შვილის მიხეილ სემიგესი, 20 წლისა, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ ამ წლის 8 სექტემბერს გორის მაზრის სოფ. ბეკამში რამდენსამე კაცს თავს დაესხნენ და გაძარცვეს.

⁂ სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას ქალაქის სამკურნალოში და მის ორს განყოფილებაში დაწესებული ფასი გააუქმეთო ისე, რომ ყველას შეეძლოს სამკურნალოში უსასყიდლოდ შემწეობის მიღება.

⁂ სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორს მომავალ 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში მოუქცევია, სხვათა შორის, ხარჯი ერთი ეტლის სასყიდლად, რომლითაც შესაძლებელი იქნება გადამდებ სენით ავადმყოფების სამკურნალოებში წაყვანა. ამ ჟამად ავადმყოფები ეტლებით მიჰყავთ ხოლმე საავადმყოფოში და ეს გარემოება, ეჭვი არ არის, ქალაქში სხვა-და-სხვა გადამდებ სენის გავრცელებას ხელს უწყობს.

⁂ სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ამ უკანასკნელ დროში მდ. მტკვრის ნაპირები ძლიერ უსუფთაოდ ინახება, რადგანაც ქალაქის მცხოვრებნი ნაგავს, ტალახს და სხვა-და-სხვა უსუფთაობას მდინარის ნაპირებზე ჰყრიანო. ამის გამო მკურნალი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას მდინარის ნაპირების გასუფთავებას და იმას, რომ აღკრძალონ ნაპირებზედ უსუფთაობის გადაყრა.

⁂ მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა აცნობა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, რომ უმაღლესად დამტკიცებულის მინისტრთა კომიტეტის დადგენილების თანახმად, ნება დაერთო, ის მანქანები და მასალა, რომელსაც ვაზის სენის საწამლავად ჰხმარობენ, ხუთის წლის განმავლობაში უგადასახადოთ შემოიტანონ ხოლმე საზღვარ-გარეთიდგან. დეპარტამენტი სთხოვს კომიტეტს გამოგვიგზავნეთ სია იმ მანქანებისა და მასალისა, რომელსაც გარდასახადი არ უნდა გარდახდესო.

⁂ ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ოლგას საბებიო ინსტიტუტში მოსამსახურეთა შტატი შეცვლილ იქმნას. სხვათა შორის აზრადა აქვთ დირექტორს ჯამაგირი დაუკლონ (2,400 მან. ნაცვლად 2000 მანეთი დაუნიშნონ), გააუქმონ საგინეკოლოგიო განყოფილების გამგის თანამდებობა, ხოლო ამ განყოფილების გამგეობა მიანდონ საბებიო განყოფილების გამგეს და მოიწვიონ ლექციების წასაკითხავად შვიდი მკურნალი. თითოს 600 მანეთი ჯამაგირი ექმნება წელიწადში. ამ მკურნალებმავე უნდა იმორიგეონ ინსტიტუტში. კავკასიის მთავარ-მართებლის ნება-დართვით უკვე გადადებულ იქმნა საჭირო ფული მკურნალების მოსაწვევად.

⁂ ტფილისის მეტეხის საპატიმროსთან დაარსებულ იქმნა სათერძო და საჩექმო სახელოსნოები, სადაც პატიმარნი მცოდნე ხელოსანთა ხელმძღვანელობით ჰმუშაობენ.

⁂ ტფილისში პირველ ოქტომბრიდგან 25 ოქტომბრამდე ყვავილით ავად გამხდარა 58 კაცი, სახადით—9, ხუნაგით და ქუნთრუშით—8.

⁂ გუშინ ქალაქის გამგეობამ საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებას აცნობა, რომ ქალაქის ექიმებს წელს აუცრიათ ყვავილი: იანვარში—25 ბავშვისთვის, თებერვალში—33, მარტში—205, აპრილში—309, მაისში—1064, თიბათვეში—365, მკათათვეში—81, მარიამობისთვეში—96, სექტემბერში—221 და ოქტომბერში 1-დამ—23-დე—1265. ამ წელს სულ ყვავილი აუცრიათ 3664 კაცისათვის.

⁂ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას ზამთარში ქალაქის წრეში მდ. მტკვარზე ყინულის მოჰრა აღკრძალეთო, რაგანაც ვერის ხიდის ქვემოდ მდინარე ძლიერ უსუფთაოდ არისო.

⁂ ის დუხაბორები, რომელნიც კანადაში აპირობენ გარდასახლებას, 20 ნოემბერს გავლენ ბათუმიდგან. ამ აზრით მათ ამერიკის გემი დაიქირავეს. დუხაბორების გაგზავნა ბათუმიდგან ამერიკაში იკისრა ინგლისის ბათუმელმა ელჩმა.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, რამდენმამე კაცმა მიჰმართა ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეს და სთხოვა ნება მოგვეცით ტფილისის მაზრის სოფელ ნორიოს მახლობლად „ნავთის-ხევში“ ნავთის კვლევა-ძიებას შეუდგეთო.

⁂ იმავე გაზეთს აბასთუმნიდგან სწერენ, რომ 22 ოქტომბერს ამ დაბიდგან 30 ვერსის სიშორეზედ შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხნენ 30 გლეხს და გაძარცვესო. პოლიციამ გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე შეუდგა ავაზაკების შეპყრობას.

⁂ „კავკას“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ არსდება ტფილისის ნავთის ახალი მწარმოებელი საზოგადოებაო.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ა იუწყება, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ზოგიერთი წევრნი ადგენენ ამ ჟამად ვრცელ მიმოხილვას კავკასიაში მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებაო.

⁂ ტფილისში, გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, არსდება ბაღოსანთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება. ამ დღეებში შეუდგებიან წესდების პროექტის შემუშავებასაო.

⁂ თელავიდგან სწერენ „ტფ. ფურ.“-ს, რომ ამ ბოლოს დროს აქეთ ფქვილის ფასმა აიწია: კოდი ფქვილი აქამდის 3 მანეთად ჰფასობდა, ეხლა-კი 4 მანეთად ჰფასობსო.

⁂ ს. ბზვანი. სიმინდის მოსავალს აქეთ ყველა ემადლიერება, ღვინო მეოთხედიც არ მოსულა; ქურდობამ ხელ-ახლა იმატა; ამ ერთის კვირის განმავლობაში ამ სოფლიდგან და ს. ამაღლებიდგან 8 ცხენი წაიყვანეს.

⁂ დ. სამტრედია. აქ ღამე კაცს არ შეუძლიან ქუჩაში გავლა; ქუჩა სავსეა ძაღლებით და თუ კარგი კეტი არ გიჭირავთ ღამე ხელში, ძაღლებს ვერ მოიშორებთ. დუქნებში აქ ყოველგვარ უსუფთაობას შეხვდებით. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

⁂ 25 ოქტომბერს ყვირილას სადგურზე მატარებელ-ქვეშ ჩავარდა სოფ. საქარას მცხოვრები აზნაური ალექსი ბესარიონის ძე ნემსაძე, 60 წლისა. მატარებელმა მარცხენა ხელი მოსწყვიტა.

⁂ გუშინ, 26 ოქტომბერს, რიყეზე შემდეგი ამბავი მოხდა. სოფ. მეჯვრისხევის ორი მცხოვრები ჰყიდდნენ ორს კამეჩს 40 მანათად. ამ დროს იმავე სოფლის მცხოვრებმა ილო გელაშვილმა სთქვა, ეს კამეჩები ჩემია, გუშინ მომპარეს და ტფილისში გამოგზავნეს გასასყიდადაო.

ეს რომ ერთმა ოსმა გაიგო, ხანჯალი იძრო და ეცა ილო გელაშვილს მოსაკლავად, მაგრამ გელაშვილმა ხანჯალი აიცდინა. ოსები პოლიცელმა შეიპყრო და კამეჩები პატრონს ჩააბარა.

წერილი ქუთაისიდგან.

თითქმის ყველა საგუბერნიო ქალაქი ეღირსა მთხოვართა და უძლურთა თავშესაფარს და ჩვენს ქუთაისსკი არაფერი ეშველა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეწუხებულნი არიან აქაურნი მკვიდრნი მათხოვრებისაგან და, ესრედ წოდებულ, გადმოსახლებულებისაგან. მოხუცი, ახალგაზდა, ქალი, კაცი, ერთის სიტყვით ყველა, ვიღაც-კი ხელის განძრევა ეზარება, ლუკმა პურის მოპოვებისათვის შრომას ერიდება, მხარზედ ტომარა გადაკიდებული ქუჩა-ქუჩა დატანტალებს და გამვლელ გამომვლელს გზაში ელობება მოწყალებისათვის. ფული თუ არ დაგირჩათ ხელადა ანუ რაიმე მიზეზის გამო არ ინებეთ ჩუქება, მთხოვარა რამდენისამე საჟენის მანძილზედ მოგდევთ და ძალას გატანთ „მაჩუქეთ“, „შემიწყალეთო“. მომეტებული ნაწილი ამ მათხოვრებისა ჯანმრთელნი არიან და ზოგნი ხომ, რომელნიც თავიანთ თავს „ბერძენს“ ეძახიან, ერთიც არ არის ფიზიკურად დაშავებული.

სანიტარული მდგომარეობა ქუთაისისა არ არის სახარბიელო. ზოგი ქუჩა წარმოუდგენელს მდგომარეობაშია, მაგალითად, ორპირის ქუჩის ბოლო, ლევაშოვის ქუჩა და სხვ. ქუჩაბანდების შესახებ ლაპარაკიც-კი მეტია. გეგუთის ქუჩის შესახვევზედ, მაგალითად, რომელიც მთავარ ანგელოზის ეკკლესიისკენ მიდის, დარშიაცა და ავდარშიაც მუდამ ტალახია. გარდა ამისა, ზაფხულობით ქუჩებს არა ჰრწყავენ საკმაოდ, რის გამოც აუტანელი მტვერი სდგას ხოლმე. აქ ხომ ხშირად იცის ზენა ქარი და როცა ეს ქარი ამოვარდება, ვაი მისი ბრალი, ვინც ოთახში არ ჩაიკეტება და ქუჩაში გასვლას გაჰბედავს. ხანგრძლივ წვიმების დროს და ზამთარში ბევრი აქაური ქუჩა ისე აივსება ხოლმე წყლით, ტალახს რომ თავი დავანებოთ, რომ ერთის ნაპირიდგან მეორეზედ გასვლა შეუძლებელია.

რაღა თქმა უნდა, ქუთათურები ძლიერ შეწუხებულნი ვართ წმინდა წყლის უქონლობის გამო. ამბობენ, რიონის წყალი მაწყინარი არ არისო, მაგრამ ჩვენის ფიქრით ეს შემცდარი აზრია. მხედველობაში თუ ვიქონიებთ, რომ იგი მომდინარეობს ურიების უბნიდგან, ამას გარდა თუ ისიც გვეცოდინება, რომ ქუთაისში ერთად ერთი ალაგი რიონია, რომელშიაც ჰყრიან ქალაქის ყოველ გვარ სიბინძურეს, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რიონის წყალი მარგებელი ვერ იქმნება და გადამდებ ავადმყოფობის დროს დიდადაც შეუწყობს ხელს სენის გავრცელებას. როგორც გაზეთებშიაც იყო მოხსენებული, ქალაქის გამგეობამ მილებით წყაროს გამოყვანა განიზრახა ქუთაისში და მცოდნე კაციც იქმნა მოწვეული ამისთვის, მაგრამ ეს საქმე ისევ ჩქარა მიყუჩდა და როდის რა გვეშველება, არავინ იცის. ცხადია, ქალაქს უფულობა უშლის ხელს და ამიტომ ვერ ამთავრებს ამ საქმეს.

დაიტკბოს სიცოცხლე, დაიმშვიდოს სულის კვეთება, ჰპოვოს განცხრომა და სიამე, რომ, მაშასადამე, სისულელე და ბავშვური ბოდვაა ყოველივე მისი მისწრაფება, სურვილი, იდეალი,—თავის ხელითვე ისპობს სიცოცხლეს და ამითი ჰსურს ბოლო მოუღოს უგზო-უკვლო, უაზრო და ტანჯვა-წვალებით სავსე ხეტიალს იმ პატარა პლანეტაში, რომელსაც დედამიწა ჰქვიან და რომელშიაც რაღაცა მანქანებით გადაუგდიათ და მოუმწყვდევიათ იგი. „აზრი ვერ ვპოვე ცხოვრებაში. ვერ გავიგე ვინ ვარ, რა ვარ, რას უნდა ვესწრაფოდე, რად ვარ გაჩენილი. მომბეზრდა უაზროდ ცხოვრება, თვალებ ახვეულად ფორთხიალი... ქვეყანა ჩემთვის ციხეა, მე—მისი პატიმარი..და, აი, ამისთვის ვარჩიე „არარაობა“ სიკვდილი და ჩემისვე ხელით მოვისპე სიცოცხლე“!!. აი, როგორ ამართლებს ცხოვრება-მობეზრებული, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ცხოვრებისგან შეშინებული თვით-მკვლელი თავის საქციელს.

სულ სხვაა, როდესაც კაცი თავის თავს უკვდავად და „ბუნების მეფედ“ აღიარებს. „მე უკვდავი ვარ. ჩემი ქვეყნიური არსებობა მხოლოდ ერთი წუთია იმ ჟამისა, რომელიც საიქიოს განეგრძობა უკუნითი უკუნისამდე. საიქიოს ორ ნაირი არსებობაა—სამოთხისა და ჯოჯოხეთისა. პირველს კაცი ეღირსება თავისის სულიერ განსპეტაკებით და განწმენდით კეთილისა და სათნოების თესვა-გავრცელებით; ღვთის დიდებითა და ლოცვა-ვედრებით; მოძმეთათვის თავის განწირვით და კერძო კეთილ დღეობისა და ინტერესების უარყოფით... ჯოჯოხეთი იმათ მოელით, ვინც ხორცს ანებივრებს და კეთილის ნაცვლად ბოროტებასა და უსამართლობასა სთესს.. ვინც თავისს დანიშნულებას და თავისს გამჩენს ივიწყებს და მარტო თავისს „მე“-ს აღმერთებს“... ასე ჰფიქრობს ის ნაწილი კაცობრიობისა, რომელმაც ასე თუ ისე, ამ გზით თუ იმ გზით, ამ სახით, თუ იმ სახით ირწმუნა თავისი უკვდავება და დიადი დანიშნულება. ასეთს რწმენას თან სდევს სულ სხვა იდეალი ცხოვრებისა, სულ სხვა აზრი კაცის ბედნიერებისა და დანიშნულებისა. „ნეტარ და ბედნიერ ის არის, რომელიც ღვთის ბრძანების აღსრულებაში, თავის სულის განწმენდა-გასპეტაკებაში ჰლევს თავის მოკლე და წუთიერს ცხოვრებას. საუკუნო ხსენება და განსვენება მოელის იქ, სად არ არის არცა ურვა, არც სულთქმა... და თუ ეს ასეა, ჰფიქრობს ადამიანი, მაშ სულელი არ იქნება ის, ვინც ერთის წუთის წარმავალ სიამოვნებისთვის საუკუნო განცხრომასა და ნეტარებასა ჰკარგავსო? კაცი უნდა ეცადოს ყურადღება დაიმსახუროს ყოვლად შემძლებელისა და გონივრულად დაიწყოს ცხოვრება და მოქმედება. იწყებენ კიდეც, თავის იდეალის მიხედვით, ცხოვრების მოწყობას. ზოგი მათგანი უარ-ჰყოფს ყოველსავე ქვეყნიურს სიამოვნებასა და ბედნიერებას: სიმდიდრეს, სახელს, დიდებას, ოჯახით მყუდროს, ნებივრად და ფუფუნებით ცხოვრებას და მიდის სადმე უდაბნოში და იქ ერთად-ერთი, ქვეყნიურ შფოთსა და მღელვარებას მოშორებული, ლოცვავედრებასა და მარხვაში ატარებს დროს. მუდამ დღე თავის ულირსებასა და ცოდვას შეჰღაღადებს ღმერთს და შეწყნარება-პატიებასა სთხოვს. ქვეყანა და ყოველივე ის, რაც იქ არის, მხოლოდ წარმავალად და კაცის მაცთუნებლად მიაჩნია; თავისი სიცოცხლე—მხოლოდ მოსამზადებელ საფეხურად საიქიოსაკენ. რამდენადაც ხორცს ასუსტებს იგი, რამდენად ყოველსავე ხორციელს სურვილსა და ნდომას იხშობს, იმდენად უფრო მისი აზრითა და რწმენით, ზეცას უახლოვდება, იმდენად უფრო ნეტარებას მოელის. ხორცის დათრგუნვა, ხორციელ და ქვეყნიურ ბედნიერება-სიამოვნების უარ-ყოფა, პირ იქით, ლოცვა მარხულობით სულის ამაღლება—აი, მისი იდეალი, აი, აზრი მისის ცხოვრებისა!..

სხვანი სულ სხვა რიგადა და სხვა სახით სცხოვრობენ, ან ჰსურთ იცხოვრონ. ესენი აუცილებლად არა სთვლიან ყოველისავე ქვეყნიურის უარ ყოფას და ცხოვრებიდგან განდგომა-განკერძოებას. იმათის აზრით, ქვეყანა მისის აუარებელის სიმდიდრითა და თვალ-წარმტაცის სიკეკლუცე-სიმშვენიერით, იმისთვის გააჩინა ღმერთმა, რომ კაცმა ისარგებლოსო და სიცოცხლე დაიტკბოს. გონივრულ და უვნებელს სიამოვნების-კი არ უკრძალავს გამჩენი, არამედ გადაჭარბებულ და მავნე დროს გატარებასა და აღვირ-ახსნილ ცხოვრებას. კაცს შეუძლიან ქვეყანაში იცხოვროს; ისიამოვნოს ბუნების სილამაზე-სიუხვით, ოჯახურ და ცოლქმრულ ბედნიერებით და მასთან ღმერთიც ადიდოს, თავისი მოვალეობა გამჩენისა და მოყვასის მიმართ არ დაივიწყოს, სულიერი თვისებანი განისპეტაკოს და, დასასრულ, ეღირსოს კიდეც უკვდავსა და ნეტარს ცხოვრებას „წიაღსა შინა აბრაამისასა“.

ესენი, ამ რიგად, ოჯახობას ხელსა ჰკიდებენ, შვილების აღზრდასდა გონებრივ ზნეობრივ განვითარებასა სცდილობენ, ცხოვრების გარეგნულად, მდიდრულად მოწყობასაც არ უჭირყოფენ, პირ იქით, მომჭირნეობენ, რომ მდგომარეობა გაიუმჯობესონ, პატივი და დიდება მოიხვეჭონ.. ერთის სიტყვით, ორს კურდღელს მისდევენ დასაჭერად...

(დასასრული იქნება)

ქუთათურები მოუთმენლად მოელიან ცხენის რკინის გზის გაყვანას აქ, მაგრამ ეს საქმე ერთობ გვიანობს. ქალაქის საბჭო ჯერ ვერ დასდგომია გარდაწყვეტილს აზრს— თითონვე გააკეთოს და აწარმოვოს ეს გზა თუ მოიჯარადრეს მისცეს *).

შავი—დია

რუსეთი

ამას წინად ვწერდით, რომ მომავალის 1899 წლიდგან პეტერბურგში ქ-ნ პეშკოვა-ტოლივეროვის რედაქტორობით გამოვა ახალი ჟურნალი „Женское Дѣло“. ჟურნალი შემდეგის პროგრამით გამოვა: I, დედათა განვითარების ისტორია. ქალის მდგომარეობა ოჯახსა, საზოგადოებასა და სახელმწიფოში; II, დედათა მოძრაობის მატიანე რუსეთსა და საზღვარ-გარეთ. III, რომანები, მოთხრობები, პოემები, ლექსები და სხვა, ორიგინალური და თარგმნილი. IV, გამოჩენილ ქალთა ბიოგრაფიები. V, დედათა კონგრესების, კავშირების და სხვა-და-სხვა საზოგადოებების ანგარიშები. VI, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; VII, კორესპონდენციები. VIII, წვრილი ამბები.

— კიევში აზრადა აქვთ დაარსონ ძველ ნაშთთა და ხელოვნების ნაწარმოებთა მუზეუმი. შენობის აგებას მუზეუმისათვის უკვე შეუდგნენ.

— სახელმწიფო საბჭოში წინადადება იქმნა შეტანილი იმის შესახებ, რომ ის თანხა, რომელსაც 1899 წელს სასულიერო უწყების სასწავლებლებისათვის გადასდებენ, გამრავლებულ იქმნას 100,000 მანეთით.

— გაზ. „Рус. Лис.“-ი სწერს: „კარგა ხანია მოსკოვში ისეთი საიდუმლოებით მოცული ამბავი აღარ მომხდარა, როგორიც ამას წინად აქ მოხდა და რომლის შესახებაც ლაპარაკსა და მითქმა-მოთქმას დღემდის არ მოჰკლებია ბოლო. საქმე, აი, როგორ იყო: ქალაქის მეხუთე დედათა სასწავლებელში შარშან სწავლობდა, სხვათა შორის, ერთი ლამაზი თორმეტის წლის ქალი, გვარად ბ—ა. თავისის ხასიათით და მშვენიერის გარეგნობით ბ—ას საყოველთაო სიყვარული ჰქონდა დამსახურებული, როგორც მოსწავლე ქალებისა, აგრეთვე მასწავლებლებისა. გარდა ამისა ბ—ა საუკეთესოდ სწავლობდა და პირველ მოსწავლედ ითვლებოდა. ამ მდგომარე სამოსწავლო წელს ბ—ა სასწავლებელში არ გამოცხადდა, მასწავლებლებს ეგონათ, რომ ქალი ავად არის და იმიტომ არ მოვიდაო. მაგრამ თვე-ნახევარი გავიდა და ქალი მაინც არსად სჩანდა. მაშინ ქალის დედ-მამასთან სასწავლებლიდგან ქაღალდი გაუგზავნეს და შეეკითხნენ, რა მიზეზია, რომ თქვენი ქალი სასწავლებელში არ დადის. ამავე დღეს გაკვირვებული და განცვიფრებული მამა სასწავლებელში მოვარდა და უფროსს გამოუცხადა, ქალი ჩემთან კი არა, თქვენთან არის, ამ ზაფხულს ბავშვთა ახალშენში არ წაიყვანეთო? „აგე მე თვითონ მოგიყვანეთ აგვისტოში ბავშვი და ჩაგაბარეთო“, —მიუგო უფროსმა მასწავლებელმა-ქალმა. „მართალია, ჩამაბარეთ,—განაცხადა მამამ, მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ მეორე მასწავლებელი-ქალი მოვიდა, გვარად, როგორც თითონ სთქვა, ანნა სტეფანოვისა, და ბავშვი ხელ-ახლა წაიყვანა. მასწავლებელმა გამოგვიცხადა, რომ თქვენი ქალი პანსიონში იქმნა მიღებული და ამ ზაფხულს იმ ბავშვთა ახალშენში იქნება, სადაც აქამდე იყოო. ჩვენც გადავეცით ბავშვი და იმასთან ერთად ყველა ქაღალდები. მას შემდეგ აღარაფერი გაგვიგია ჩემის ქალის შესახებ; რამდენჯერმე წერილი გავუგზავნე ახალშენში, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ამ დღეებში თქვენთან ვაპირებდი შემოსვლას და ჩემის ქალის ამბის შეტყობას“.

მხოლოდ ამ ლაპარაკის შემდეგ გამოირკვა, რომ ბავშვი ვიღაც ბოროტგამზრახველთ მოუტაცნიათ. როგორც მამა, აგრეთვე პოლიცია მაშინვე ბავშვის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველა ცდამ უქმად ჩაიარა: დღემდის ბავშვი არსად სჩანს“.

უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც ზოგიერთი გაზეთი ჰფიქრობს, საკასაციო პალატა მისწერს სამხედრო სასამართლოს, პიკარი გასათავისუფლეთო, რომელიც მოწმედ იქმნება მიწვეული დრეიფუსის საქმეში.

რაც შეეხება დრეიფუსს, იმას ან საფრანგეთში მიიყვანენ ჩვენების ჩამოსართმევად, ანუ განსაკუთრებულს კომისიას გაჰგზავნიან ეშმაკის კუნძულზედ.

— საკასაციო პალატის გარდაწყვეტილების გამო პოლ-დე-კასანიაკი სწერს გაზ. „Autorite“-ში: დრეიფუსი თუ მართლა უდანაშაულო გამოდგა, რა უნდა ჰქნან სამხედრო მინისტრად ნამყოფებმა—მერსიემ, ბილიომ, კავენიაკმა, ცურლინდენმა და შანუანმა, რომელთაც სამხედრო სასამართლოს განაჩენის თანხმობა განაცხადესო.

მეორე გაზეთი „Lanterne“ ამ საგნის შესახებვე ამბობს—აფიცრებმა რომ საკასაციო პალატაში მისვლის უარი განაცხადონ ჩვენების მისაცემად და მთავარ-შტაბმა საიდუმლო საბუთები არ გარდასცეს იმავე პალატას, რასიზამენო. მაშინ დავინახავთ, მთავრობას შეძლება აქვს, თუ არა სამხედრო უწყება სამოქალაქოს დაუმორჩილოსო.

— ხმა დადის, რომ საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთშორის მორიგდნენ ფაშოდის შესახებ, ასე რომ საფრანგეთმა დაინარჩუნა ნილოსზედ მისასვლელი თავისუფალი გზა და ბარელ-გაზელიც უზრუნველ ჰყოო.

ამერიკა და ესპანია. 20 ამა თვისას შეერთებულ შტატების წარმომადგენლებმა განუცხადეს ესპანიის წარმომადგენლებს, რომ ფილიპპს კუნძულები სამუდამოდ ამერიკას უნდა დარჩესო. ასეთმა მოულოდნელმა ამბავმა ძლიერ გააოცა ესპანელები, რადგან ამერიკას ოფიციალურად არასოდეს არ გამოუთქვამს ასეთი სურვილი. პირიქით, ამერიკა მუდამ იმას გაიძახოდა, რომ ომი კუბის განსათავისუფლებლად ავტეხეთო და ფილიპპს კუნძულები თუ დაიჭირა ჩვენმა ჯარმა, ეს დროებითია, რადგან ამას საქმის ვითარება თხოულობდაო.

ამერიკის სურვილი ესპანიის დელეგატებს თავიანთ მთავრობისათვის შეუტყობინებიათ. რა თქმა უნდა, ესპანია დიდს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ამერიკას, სხვა ვინმე თუ არ მიეშველა. იმასაც-კი ამბობენ, რომ ესპანია 700 მილიონს ფრანკსა სთხოვს ამერიკას ხსენებულ კუნძულების სასყიდლად, მაგრამ ამერიკა 300 მილიონზედ მეტს არ აძლევსო.

ოსმალეთი. კონსტანტინეპოლიდგან აუწყებენ ერთს გაზეთს, რომ ამ დღეებზედ ჩუმად განცხადებანი გააკრეს, რომლებშიაც სასტიკად ჰკიცხავენ ოსმალეთის მთავრობას აუარებელის ხარჯისათვის, რომელიც გერმანიის იმპერატორის მოსვლის გამო გასწიაო. ამგვარივე ქაღალდები მეჩეთებშიაც გამოუკვრიათ თურმე.

დამაკვირდი

თუ მეტად ბედნიერი ხარ, ცოტა შეირთე.

შუა საუკუნეთა ანდაზა

* * *

ქვეყანაზე ყველაფერი წუთიერია, ტანჯვის გარდა.

ბ. ლ—შვილი

* * *

უმჯობეს ჰგონე შრომით და მოღვაწებით კადნიერ ყოფაჲ წინაშე მეუფისა, ვიდრე-ღა წოლით და ყოვლად უდებებით მომლოდე ყოფაჲ წყალობისა მისისაჲ, რამეთუ სიტყვაჲ სიტყვით სჯის სიტყვიერთა.

ნიკოლოზ ტფილელი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთმა კაცმა ჰამბურგსა და ალტონს შუა იყიდა დიდი ადგილი და ერთი ზარბაზანი და ყოველდღე ამ ზარბაზანსა სცლიდა აქ. რა თქმა უნდა, რომ ზარბაზნის ხმამ ცოტა არ იყოს ხალხი დააშინა. უსაქმო ხალხი გარს შემოერტყა იმ უცნაურს ადგილს და სცდილობდა გაეგო—აქ რა ამბავი არისო. მამულის პატრონი სულ ერთთავად სცლიდა ზარბაზანს. ბოლოს სასამართლომ დაიბარა დამნაშავე და საქმის განხილვის შემდეგ მიუსაჯა ჯარიმის გარდახდა და წაართვა კიდეც ზარბაზანი. ჰამბურგისა და ალტონის მცხოვრებნი აღელდნენ და უნდოდათ შეეტყოთ, ეს რა ამბავი არისო. სულ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ზარბაზნის მსროლელს კაცს უყიდნია ადგილი და ამ ადგილზედ გაუმართავს ქარხანა, სადაც ბავშვებისათვის ფქვილს აკეთებენ. ზარბაზანს იმიტომ ისროდა, რომ ხალხის ყურადღება მიექცია და მუშტარი ეშოვნა.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ნდ)

ტყავზედ ნაწერა დავითნი (№ 351, in 16, ფურც. 168) გადაწერილია წვნიკის ნუსხურით (დასაწყისი ასოები ოქროს მელნით გამოყვანილია). ფსალმუნის დასასრულს მოჰყვება გალობა მოსე წინასწარმეტყველისა, ამბაკუმისა, ესაიასი, იონასი, წმიდათა სამთა ყრმათა, წმ. ღვთისმშობლისა, წმ. ზაქარიასი. და შემდეგ ამისა ოქროს მელნით უწინებულესის ხელით სწერია:

ნათელო სოფლისაო ქრისტე ღმერთო ღირს ყავ განათლებად სულით და კორციით ნათელსა შინა ღუთებისა შენისსა სუფევად უკუნისამდე პატრონი მზე ჭაბუკ, რამეთუ ფრიად მოსურნე არს სწავლად საღუთოთა მცნებათა შენთა.

შემდეგ ასომთავრულით და ისევ ოქროს მელნით:

დიდებაჲ და მადლობაჲ:. დასაბამსა:. და:. სრულებასა:. ყოველთა:. არსთასა:. არა:. არსისაგან:. მომყვანებელსა:. არსთა:. არსებისასა:. ღმერთსა:. ჩუენსა:. რომელი:. იგი:. მარადის:. არს:. დ̃:. მარადის:. სამგუამოვან:. და:. ერთ:. არს:. რომლისა:. მომადლებითა:. და:. წყალობითა:. და:. მეოხებითა:. ყოველთა:. სათნოთა:. მისთათა:. წმიდისა ღთის მშობლისათა:. სრულ იქმნეს:. წმიდანი ესე:. დავითის:. ფსალმუნნი:. ბრძნებითა:. დიდისა:. წარჩინებულისა:. თვთ მპყრობელისა:. პატრონის:. ყუარყუარეს ძისა:. მჴნისა და ახოვანისა:. პატრონის:. მზეჭაბუკოსითა:. რომლისა:. მრავალმცა:. არიან წელნი სუფევისა მისისანი:. და კსენებაჲ:. მისი მოუკლებელ ყოს ღმერთმან სიმრავლესა შინა ჟამთასა ამინ:. :. :. :.

აღვაწერინენ წმიდანი ესე დავითნი მე მონამან და მოსავმან ქრისტეს ღთისამან მზეჭაბუკ საკსრად და საოხად. სულისა ჩემისათვს და შესანდობლად მშობელთა ძმათა და ნათესავთა ჩემთათვს ან ვინცა მიემთხვენეთ: ესრეთ შენდობასა ბრძანებდეთ:. პატრონსა დედის იმედსა ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმან პატრონი ყუარყუარე ადღეგრძელე და ცოდვანი მისნი შ̃ნ ღ̃ნ

პატრონსა ქაიხოსროს შ̃ნს ღ̃ნ
პატრონსა მზეჭაბუკს: შ̃ნს ღ̃ნ
პტრონ̃ა ბაადურს: შ̃ნს ღ̃ნ

ყოველთა ძმათა და ნათესავთა ჩუენთათვის შენდობაჲსა ბრძანებდით. რათა თვთმან ღმერთმან ჩუენმან ჩუენთა თქუენცა მოგვასენნეს:.

სხვა ხელით:

გათავდეს:. ქკნსა: რპბ:. აპრილსა:. კე: კელითა ყ̃დ ცოდვილისა მწერლისა ამბროსისითა:. ოჲ ღმერთო მოუკლებელ ყავ კსენებაჲ პატრონის მზეჭაბუკისა: ამინ:.

(დასასრული იქნება)

გამოსადეგი ცნობა

გახეთქილს ჩლიქს ცხენისას ასე უნდა ეწამლოს: ორი წილი გუტაპერჩა აიღეთ და ერთი წილი ამიაკის ფისი (аммячная смола, აფთიქებშია) და შეადუღეთ. განახეთქი ჩლიქისა ძალიან კარგად ამოწმინდეთ და ეს ხიზი გამთბარის დანით შიგ განახეთქში წაუსვით ასე, რომ ნახეთქი ამოევსოს. ხიზი მალე ისე გამაგრდება, რომ ლურსმანიც-კი დაეკვრის.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: რუსულს ენაზედ:

1, „Матеріалы для геологіи Кавказа“ მეათე წიგნი, გამოცემული კავკასიის სამთო გამგეობის მიერ. წიგნს ბოლოში ხუთი რუკა აქვს დართული.

1, „Ежемѣсячный бюллетень Тифлисской физической Обсерваторіи“ მე-3 ნომერი.

ქართულს ენაზედ.

1, „უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი“, თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, გამოცემული ალ. ყიფშიძისა. წიგნი პირველი. წიგნაკში მოთავსებულია რვა პატარა მოთხრობა გიუ-დე-მოპასანისა, მატილდა სერაოსი, ალფონს დოდესი, კატულ მენდესისა და სხვათა. მოთხრობები მშვენიერის ქართულის ენით არის ნათარგმნი. წიგნაკი პატარა ფორმატისაა, შეიცავს 78 გვერდს და ღირს 15 კაპეიკი.

2, „იუდა“—პოემა ნადსონისა, თარგმნილი ილია ფერაძის, ხოლო გამოცემული ე. ხელაძის მიერ. წიგნაკი ღირს 3 კაპეიკი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 ოქტომბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო „კიევლიანინი“-ს ცალ-ცალკე ნომრებად გასყიდვისა.

პარიჟი. მინისტრებს ფაშოდის შესახებ ბჭობა ჰქონდათ. ბჭობის შედეგი დაფარულია. უნდა ვიფიქროთ, რომ რადგან ფაშოდაში გაჩერება შეუძლებელია, მარშანს ბრძანებას გაუგზავნიან, ეგვიპტის ჯარის უფროსს გარდაეცი იგიო.

რეტიმნო. ქრისტიანები და მაჰმადიანები მადლიერნი არიან რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკისა და თავისის ნებით იძლევიან თოფ-იარაღს. ამას წინად რუსეთის წარმომადგენლებმა შესამჩნევად გაამრავლეს სამხედრო დარაჯები. ჯარის-კაცნი სცდილობენ, რომ მაჰმადიანები თავიანთს მამულებს მიეპატრონნენ. ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა წარჩინებულ მოქალაქეების დეპუტაცია მივიდა რუსეთის ადმირალთან და განუსაზღვრელი მადლობა განაცხადეს ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზედ.

კანეა. საერთაშორისო ჯარმა ციხე ჩაიბარა. იტალიის ქვეითა ჯარმა არტილერიის ციხე დაიჭირა.

კანეა. ოსმალეთის დანაშთენი ჯარი, რამდენისამე ასის კაცის გარდა, სუდის ნავთ-სადგურში გემებზედ აიყვანეს. ღამის 3 საათზედ საერთაშორისო ჯარმა კანეის სიმაგრეები დაიჭირა და ოსმალეთის ჯარის ყველა ყაზარმა. ადმირალებმა პროკლამაცია გამოსცეს და მცხოვრებლებს მფარველობას ჰპირდებიან, განსაკუთრებით მაჰმადიანთ.

პარიჟი. მეთერთმეტე კორპუსის უფროსი გენერალი ბრო მთავარშტაბის უფროსად არის დანიშნული გენერალ ლენუარის ადგილას, რომელიც მეთერთმეტე კორპუსის უფროსად იქმნა დანიშნული. გენერალი პამარი დანიშნულია სამხედრო მინისტრის კანცელარიის გამგედ.

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. დიუპუი სამინისტროს დეკლარაციას კითხულობს და შემდეგ ამბობს: „ჩვენ ნათლად გამოვხატეთ დეკლარაციაში მთავრობის განზრახვანი. მთავრობას აზრად არა აქვს მოითხოვოს ახალი კანონი, რადგან არსებული კანონი საკმარისია წეს-რიგის დასაცველად და მხედრობის უზრუნველ-საყოფელად (ტაშის ცემის ხმა მოისმის). რაც შეეხება დრეიფუსის საქმეს, მართლ-მსაჯულებას ჩვენ პირის-პირ ვუდგივართ. ჩვენ შევიძლებთ, მისს გარდაწყვეტილებას ყველამ პატივი სცეს. ამ საქმეს იმ დღესვე შუქი მოეფინება, როცა მართლ-მსაჯულება თავისს განაჩენს წარმოსთქვამს, რომლის წინაშეც ჩვენ ქედს ვიხრით“. (ხანგრძლივი ტაშის ცემაა). დიუპუიმ დასძინა, რომ რესპუბლიკელთა უმრავლესობას დავემყარებით. (ტაშის ცემაა). სოციალისტი რუანე ჰკითხავს, რა ღონისძიებას იხმარს მთავრობა, რათა სამხედრო კაცები თავისს სურვილზედ დაიყოლიოს და წინანდელისებურ შემთხვევების განმეორებას ხელი შეუშალოსო. კამათობა დასრულებულია. პალატამ 429 ხმით 64 წინააღმდეგ შემდეგის შინაარსის წინადადება შეიწყნარა: „პალატა, იწონებს-რა მთავრობის დეკლარაციას და ენდობა-რა მას ცვლილებათა შემოღების პოლიტიკის გზას დაადგეს, ისე-კი, რომ მხოლოდ რესპუბლიკელთა უმრავლესობაზედ იყოს დამყარებული,—შეუდგება“ და სხ.

კანეა. ქალაქის უპირველესი ადგილები ისე დაიჭირეს, რომ წეს-რიგი არ დარღვეულა. ოსმალეთის დროშა გაშლილია ოთხ დიდ სახელმწიფოს დროშასთან ერთად. მაჰმადიანები დაუბრკოლებლივ უბრუნდებიან თავიანთ მამულებს. ქრისტიანეთ თოფ-იარაღი უკვე ჩამოართვეს.

---

*) ამ გზის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი ჩვენის საკუთარის კორესპონდენტის წერილი.

რედ.

25 ოქტომბერი

იაფფა. მათი უდიდებულესობანი, იერუსალიმიდგან მოვიდნენ-რა აქ რკინის გზით, „გოგენცოლლერზედ“ გადასხდნენ და ბეირუთში წავიდნენ.

პარიჟი. მთავრობამ გარდასწყვიტა მარშანის მისსია აღარ დასტოვოს ფაშოდაში. გარდაწყვეტილება შეიწყნარა მინისტრთა საბჭომ საქმის ხანგრძლივის განხილვის შემდეგ. მარშანი დაუყოვნებლივ ფაშოდაში დაბრუნდება, რათა მისსია ჯიბუტში წაიყვანოს.

ბეირუთი. იმპერატორი მეუღლითურთ აქ მოვიდა. ნაპირზედ არ გადავლენ. ორშაბათს დილით დამასკში წავლენ.

ლონდონი. მენშენ-გაუზში გამართულ ნადიმის დროს სალისბიურიმ წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა, მივიღე ცნობა, რომ საფრანგეთის მთავრობამ გარდასწყვიტა ხელი აიღოს ფაშოდაზედ, რომელსაც არავითარ ფასს არ აძლევს. ჯერ არ გარდაუწყვეტიათ ყველა ის საგნები, რომელთაც უთანხმოება გამოიწვიეს, მაგრამ უმთავრესი, გამწვავებული საგანი თავიდგან აცილებულ იქმნა.

წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებთ მე და ჩემი მრევლი ქ. ფოთის მეორე გილდის ვაჭარს კოსტა გოჯასპირის ძეს რუხაძეს, რომელმაც თავისს სამშობლო ქვიტირის ეკკლესიას შემოსწირა ერთი ჯვარი და ერთიც ტრაპეზზედ დასადგმელი მშვენივრად შემკობილი სანაწილე, 50 მანეთად ღირებულნი, და შემდეგისთვისაც შემწეობა აღუთქვა ეკკლესიას.

მღ. პ. ბახტაძე

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

2) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი ქალი ი. გოგებაშვილის 5 კ.

3) **ვეფხის-ტყაოსანი,** ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ—4)

გამოვიდა წიგნი

тифлисское церковное
ДРЕВЛЕХРАНИЛИЩЕ

და იყიდება სიონის სიძველეთ-საცავსა და წერა-კითხვის მაღაზიაში.
ფასი 20 კაპ.

სიძველეთ-საცავი ღიაა კვირაობით შესვლის ფასი 20 კაპ. (10—მ.—3)

სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ერთი შაური. წმინდა შემოსავალი ამ წიგნაკისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება განსაახლებლად ცხეთის ტაძრისა. ამ დღეებში წიგნაკი გაეგზავნებათ მთავარ მაღაზიებს დასავლეთს საქართველოში. (6—ნ.—6)

კლიუკვას ექსტრაქტი

რ. კელერისა და ამხ. მოსკოვის ქარხანაში დამზადებული, ძლიერ მეტად სუფთა და კარგის ფერისა და გემოს სასმელს.
იყიდება **ყველგან ყველა** ქალაქის დიდ ვაჭრებდან. (Клюквенный экстрактъ). (3—მ.—3)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 1898 წლის 15 ოქტომბრიდგან

უმთავრესის ლიანდაგის მატარებლები:

სადგურები:	სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდგან ბათუმამდე		ფოსტის მატარებელი № 3 ბაქოდგან ბათუმამდე		სადგურები:	სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდგან ბაქომდე		ფოსტის მატარებელი № 4 ბათუმიდგან ბაქომდე	
	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.		მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.
		ნაშუდ.		საღამ.			დილ.		საღ.
ბაქო . . .	—	4,15		10,50	ბათუმი . .	—	8,30	—	8,40
აჯიქაბული .	6,39	7,55	2,27	2,42	სამტრედია .	11,33	11,48	1 14	12,32
ევლახი . . .	12,11	12,25	7,29	7,49	რიონი . . .	12,36	12,16	1,20	I, 4
განჯა . . .	2,33	2,50	10,08	10,28	ყვირილა . .	1,34	1,44	2,43	2,52
ალსტაფა . .	5,35	5,44	1,29	1,54	შორაპანი .	1,52	1,55	3,00	3,07
ტფილისი . .	8,38	9,20	5,09	6,10	ხაშური .	4,50	5,12	5,52	6,12
მცხეთა . .	9,56	10,01	6,51	7,06	გორი . . .	6,18	6,28	7,20	7,31
გორი . . .	11,33	11,42	8,43	8,55	მცხეთა . .	7,52	7,57	8,57	9,11
ხაშური . .	12,51	1,06	10,11	10,29	ტფილისი . .	8,30	9,15	9,55	11,20
შორაპანი . .	3,38	3,40	1,00	1,08	ალსტაფა . .	11.53	12,01	2,25	2,50
ყვირილა . .	3,48	3,58	1,16	1,26	განჯა . .	2,47	3,20	5,56	6,22
რიონი . . .	4,48	4,57	2,17	2,32	ევლახი . .	4,50	5,00	8,21	8,41
სამტრედია .	5,42	5,55	3,50	3,55	აჯიქაბული .	9,19	9,30	1,33	1,48
ბათუმი . .	8,52	—	7,00	—	ბაქო . . .	12,59	—	5,42	—

ტფილისსა და ბორჯომს შუა

სადგურები.	სახალხო მატარებელი № 5.		სადგურები.	სახალხო მატარებელი № 6.	
	მოსვლ.	გასვლ.		მოსვლ.	გასვლ.
		ნაშუდ.			ღამე
ტფილისი	—	3,10	ბორჯომი	—	3,25
მცხეთა	3,50	3,58	ხაშური	4,35	4,55
გორი	5,39	5,49	გორი	6,02	6,08
ხაშური	7,10	7,20	მცხეთა	7,34	7,39
ბორჯომი	8,30	—	ტფილისი	8,15	—

ხაშურსა და ბორჯომს შუა

სადგურები.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	სადგურები.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.
		საღ.		დილ.		ნაშ.			საღ.		ნაშ.		დილ.
ხაშური .	—	10.35	—	6,20	—	1,20	ბორჯომ.	—	8.50	—	3,25	—	11.20
სუმბათ.	11.02	11.05	6,52	6,55	1,47	1,50	სუმბათ.	9,30	9,33	4,05	4,08	12.00	12.08
ბორჯომ.	11.45	—	7,35	—	2,30	—	ხაშური .	10.00	—	4,35	—	12.35	—

ხაშურსა და სურამს შუა.

სადგურები.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	სადგურები.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.
				საღ.		საღ.			ღამე		ნაშ.		საღ.
ხაშური	დილ.	6,38	—	7,28	—	10,43	სურამი	—	4,10	—	12,13	—	9,38
სურამი	6,50	დილ.	7,40	—	10,55	—	ხაშური	4,22	—	12,25	—	9,50	—

ფოთსა და სამტრედიას შუა.

სადგურები.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	სადგურები.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.	მოსვლ.	გასვლ.
		ღამე		დილ.		საღ.			საღ.		დილ.		საღ.
სამტრედ.	—	4.40	—	11.55	—	7.30	ფოთი	—	11.45	—	6.15	—	8.55
აბაშა	5.05	5.12	12.22	12.27	7.55	7.69	ქოლადიდი	12.22	12.30	6.50	6.58	9.30	9.35
ახალ-სენ.	5.37	5.50	12.53	1.10	8.24	8.32	ახალ-სენ.	1.25	1.40	7.50	8.00	10.27	10.35
ქოლადიდ.	6.45	6 55	2.05	2.13	9.27	9.33	აბაშა	1.07	2.15	8.25	8.39	11.00	11.05
ფოთი	7.30	—	2.50	—	10.08	—	სამტრედ.	2.42	—	8.55	—	11.30	—

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА
ОБЩЕСТВЕННУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
„ОКРАИНА“
НА 1899 ГОДЪ
въ г. Ташкентѣ
и продолжается на 1898 годъ.

Газета выходитъ три раза въ недѣлю: по **понедѣльникамъ, средамъ** и **пятницамъ** (кромѣ дней слѣдующихъ за праздниками).

Программа газеты значительно расширена введеніемъ новыхъ отдѣловъ, въ виду чего, кромѣ большинства прежнихъ сотрудниковъ, въ газетѣ примутъ участіе и нѣсколько новыхъ лицъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

для городскихъ подписчиковъ безъ доставки:

На 1 годъ	4 р. — .
„ ½ года	2 р. 50 „
„ 3 мѣсяца	1 р. 50 „

для городскихъ и иногороднихъ съ доставкою:

На 1 годъ . . , ...	5 р. — к.
„ ½ года , ...	3 р. 50 „
„ 3 мѣсяца . . . , ...	2 р. 50 „

На иные сроки подписка не принимается.
(3—უ.—1).

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:
ქართველთა ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
სახალხო ლექსები და ლეგენდები	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	„
საქართველოს ისტორია მ. ბროსსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა, ...		20
წყარო წიგნი II მისივე .	„	50
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . .	„	25
ქ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
კეთილი ძალლი . . .	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	„	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი	„	40
გედები. საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ბიროემანსი. კარგარეთელისა	1	„
ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . .	1	„
ამბავი ცხოველთა სამეფოსი. სურათებით და მშვენიერის ყდით . . .	1	„
სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს .	„	25
ანვაზე საკერი ანბანი .	„	40
ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
მოლიპულ გზაზე, მოთხრობა	1	„
მთიულეთი ალ. ფრონელისა	„	70
სავლის მცველნი გოგებაშვილისა . . .	„	20
ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია	„	20
ორი ეტიუდი	„	20
ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი	1	50
ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია	„	20
აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია	„	15
ამირან-დარეჯანიანი .	1	„
ვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . ,	„	40
ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . .	„	60
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
II вып. . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же	„	50 „
Переписка грузинскихъ царей съ россійскими государямРісоъси иСношенія . с	3	„
Кавказомъ. С. Бѣлокурова.	3	„
Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе	2	50
Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же	3	„
зинской словесности А. Хаханова. . . .	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его же	›	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . .		60
Матеріалы для русской исторіи, его-же. . .	3	
Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т.	7	50

Дозволено цензурою, Тифлисъ 26 го Октября 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე